

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პავშირი  
"მეცნიერება და მოღვაწეობა"

კ ბ ი რ გ ი ს

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

**4(96)/2020**

---

თბილისი

## სარჩევი

23.

<b>მ.მაჭავარიანი.</b> ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ტრანს-ფორმაცია და მისი ამოცანები საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის პირობებში . . . . .	5
<b>გ. გაჭავარიანი.</b> საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ძირითადი გამოწვევები. . . . .	16
<b>ა.კოხტაშვილი, გ.ხრიბალაძე.</b> საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის საბალანსო ბაზრის პროდუქტების ბაზრის ანალიზი . . . . .	23
<b>მ.ხატიაშვილი, გ.გამოშიძე</b> დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების გაანგარიშებისათვის არამიმოქცევადი ზღვების სანაპირო არეებში. . . . .	27
<b>ზ.გვიშიანი, გ.დალაძიშვილი, კ.ხაზალია, ც.გიორგაძე,</b> <b>ო.საჯაია, გ.თურმანიძე.</b> ჰოლოგრაფიული ექსპერიმენტის ტექნიკა. . . . .	33
<b>ი.ყურაშვილი, თ.ეიმარიძე, ღ.მხმიძე, მ.ქადარია, ტ.გალაშვილი,</b> <b>ნ.გოგოლაშვილი, გ.დარსავალიძე.</b> თერმული მოწვების გავლენა მონოკრისტალური Si და Si+0,5 ატ.% Ge: შენადნობის ელექტროფიზიკურ და არადრეკადმასასიათებლებზე. . . . .	42
<b>გ.ლორთიშვანიძე, ბ.ხაჩიძე.</b> ბეტონისა და სხვა მყარი ნივთიერებების შექცევადი ცოცვადობის ბუნება ზედაპირულად აქტიურ გარემოში . . . . .	51
<b>მ.შენგალია, ნ.შავერზაშვილი, ა.ჩიძოვანი.</b> მშრალი სამშენებლო ნარევები . . . . .	57

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

<b>პროფ. თ. გოჩიტაშვილი.</b> საინტერესო მონოგრაფია . . . . .	66
--	----

## ს ს რ ვ ნ ა

<b>ნიკოლოზ მოჭონელიძე 100 ლლისაა.</b> . . . . .	68
---	----

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ტრანსფორმაცია და მისი ამოცანები საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის პირობებში. მმაჭავარიანი. "ენერგია". №4(96). 2020. თბილისი. გვ. 5-15. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ერთ-ერთი საკვანძო სუბიექტის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის როლი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების პროცესში. აღწერილია საქართველოში მოქმედი ამჟამინდელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა. გაანალიზებულია ბაზრის მონაწილეების როლი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების პროცესში. ჩამოყალიბებულია საქართველოს მიერ „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შედეგად ნაკისრი გალდებულებები და განხილულია მათ საფუძველზე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ტრანსფორმაციის პროცესი.

ილ. 1, ლიტ. 12.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მირითადი გამოწვევები. ქ. მაჭავარიანი. "ენერგია". №4(96). 2020. თბილისი. გვ. 16-22. ინგლ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

„ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმის ხელმოწერით საქართველომ ენერგეტიკული ბაზრების ტრანსფორმაციის გალდებულება აიღო. დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების შესახებ ოქმი ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკული ბაზრების სავალდებულო ცენტრის გადამდებარების კონკრეტული პროცესის მიმდინარეობის გზით. საქართველოს ენერგეტიკულმა ბაზარმა უნდა გაიაროს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია რათა დღეს არსებული მოდელიდან მივიღეს სრულად კომპეტენტურ და ლიბერალიზებულ ბაზრამდე, აღნიშნული ცენტრის მიმდინარეობის მიმდინარეობის გადამდებარების საბოლოო ვადად 2020 წლის პირველ იანვარს ადგენდა.<sup>1</sup>

განხილულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი ყველა იმ გამოწვევით რომლის წინაშეც ის დგას. აღწერილია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჯერ კიდევ მოქმედი მოდელი, რომელიც გადის მნიშვნელოვან რეფორმებს ქვეყნის მიერ ნაკისრი გალდებულებების შესასრულებლად. სტატია ეხება და აანალიზებს ისეთ გამოწვევებს როგორებიცაა გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები ე.წ. PPA-ები, რომლებიც შემოღებულ იქნა როგორც განახლებადი ენერგიის წახალისებისა და მხარდაჭერის მექანიზმი, ელექტროენერგიის მიწოდება აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიისთვის, რომლის საფასურის გადახდაც არ ხდება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სხვ.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის საბაზარს ბაზრის პროცესების განვითარების ბაზრის ანალიზი.

აკოხტაშვილი, გ. ხორბალაძე. "ენერგია". №4(96). 2020. თბილისი. გვ. 23-26. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია საბაზარს ბაზრის დანერგვა. ამას გარდა, მიმოხილულია ის საბაზარს პროდუქტები, რომელიც უნდა იქნას შესყიდული გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო და უსაფრთხო

<sup>1</sup> მიმდინარე რეფორმების ფონზე საკანონმდებლო აქტების შემუშავებასა და მიღებას გარკვეული დრო დასწირდა, რის გამოც საბოლოო ვადამ 2021 წლის პირველ ივლისამდე გადაიწია.

ფუნქციონირებისთვის. გამოკვლეულია საბალანსო პროდუქტების ბაზრის კონცენტრაციის თანაფარდობის ანალიზი და ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორიცაა: ბაზრის ლიკვიდურობა, ნარჩენი შეთავაზების ინდექსი, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI).  
ცხრ. 4.

დამაბინდურებელი ნივთიერებების გავრცელების გააგრძელებისათვის არამიმდობარი ზღვების სანაპირო არმენია.

კ.ხატიაშვილი, გ.გაგოშიძე. "ენერგია". №4(96). 2020. თბილისი. გვ. 27-32. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

საზღვაო-საკანალიზაციო ნაგებობებისა და დასასვენებელ ზონებში მდებარე ზღვის წყლის საცურაო აუზების გამართული ფუნქციონირების მიზნით, პუბლიკაციის 1 პუნქტი მოყვანილია ზღვის სანაპირო არებებში წარმოქმნილი დამაბინძურებელი ნივთიერებების ღრუბლის ან ლაქის გაბარიტების დადგენის მათემატიკური მოდელი. მე-2 და მე-3 პუნქტებში მდინარის ნაკდისა და ქარის ზემოქმედებით განპირობებული დინებების გათვლისწინებით, შემოთავაზებულია კონსერვატიული დამაბინძურებლების გავრცელების გაანგარიშების მეთოდი და მოყვანილია მაგალითი, რომელიც შეეხება საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ - ერთ საკურორტო ზონაში მშენებარე საცურაო აუზის დაცვას დამაბინძურებელი კონცენტრაციის მქონე ზღვის წყლის შემოჭრისაგან.

ცხრ. 1, ლიტ. 5.

### პოლოგრაფიული ექსამინაციის ტექნიკა.

ზ.გვიშაიანი, გ.დალაქიშვილი, კ.ხაზალია, ც.გიორგაძე, ო.საჯაია, გ.თურმანიძე. "ენერგია". №4(96). 2020. თბილისი. გვ. 33-41. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ჰოლოგრაფიული ინტერფეროგრამების ჩაწერის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს ინტერფერენციული ველის მაღალი სტაბილურობა. ამიტომ აუცილებელია ოპტიკური დანადგარის, ვიბროდამცავი ოპტიკური მაგიდის მაქსიმალური სიხისტის უზრუნველყოფა. მაგიდის ვიბრაციაზე მგრძნობიარობა ძალზე მნიშვნელოვანია. თუ ექსაერიმენტის მსვლელობის პერიოდში ცალკეული ელემენტები გადაადგილდება ისე, რომ ინტერფერენციული ზოლები გადაინაცვლებს მაქსიმუმიდან მინიმუმამდე და, საპირისპირო, ჰოლოგრაფირებისას საერთოდ გაქრება ინტერფერენციული სტრუქტურა და რეგისტრირებული ობიექტი საერთოდ გაშავდება. ილ. 8, ცხრ. 5, ლიტ. 8.

თერმული მოვაბის გავლენა მოცოდნისტალური Si და Si+0,5 ატ.% Ge: შეცალცობის ელემტორციზიგურ და არადრეპარასიათებლებზე.

ი.კურაშვილი, თ.ქიმერიძე, დ.მხეიძე, მ.ქადარია, ტ.მელაშვილი, ნ.გოგოლაშვილი, გ.დარსაველიძე. "ენერგია". №4(96). 2020. თბილისი. გვ. 42-50. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ფოსფორით ლეგირებულ მონოკრისტალურ Si+0,5ატ.% Ge შენადნობში ტემპერატურის 100-200°C არეში გამოვლენილია არასტაბილური თერმული დეფექტების მოწვით განპირობებული კუთრი ელექტროწინააღმდეგობის არა წრფივი ცვლილება. შინაგანი ხახუნისა და ძვრის მოდულის სპექტრებში რეგისტრირებული რელაქსაციური მაქსიმუმები გამოწვეულია წერტილოვანი დეფექტების მოძრაობით (~100°C) და დისლოკაციების ურთიერთებულებით თერმული წარმოშობის დეფექტებთან (400, 530-565°C).

530-565°C ტემპერატურებზე გამოვლენილი დისლოკაციური წარმოშობის რელაქსაციური მაქსიმუმის ინტენსივობისა და მოძრაობის აქტივაციური მახასიათებლების ამაღლება გაანალიზებულია ვაკანსია - უანგბადის რთული კომპლექსების გამრავლებით თერმული მოწვების პროცესებში და დისლოკაციების დამუხრუჭებით აღნიშნული დეფექტების ატმოსფეროში.

ილ. 3, ცხრ. 2, ლიტ. 10

ბეჭონისა და სხვა მყარი ნივთიერებების შექვევაზი ცოცვადობის ბუნება ზედაპირულად აძლიშვილ გარემოში.

მ.ლოროსტეფანიძე, ბ.ხაჩიძე. "ენერგია". №4(96). 2020. ობილისი. გვ. 51-56. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

თეორიულმა და ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა აჩვენა გარკვეულ დამაბულ მდგომარეობებში წყლისა და სხვა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების მოქმედების შექვევადობა ზოგიერთ მასალებზე, განსაკუთრებით ბეტონზე.

ცემენტის ქვის, ბეტონისა და მყარი ნივთიერებების სიმტკიცისა და დეფორმაციის თვისებები ძირითადად დამოკიდებულია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების, განსაკუთრებით წყლის მოქმედების ფაქტორზე.

ჩვენი ექსპერიმენტების მონაცემებისა და სხვა მქვევარების ექსპერიმენტების თანახმად, როდესაც ნიმუშები იტვირთება თანდათანობით და დაბალი სიჩქარით ცოცვადობის ზემოქმედების ქვეშ, მატრიცასა და შემავსებელს შორის ხდება ძაბვის რელაქსაცია და ამით იქლებს არაერთგვაროვანი ძაბვის ველი. ეს ქმნის პირობებს მასალის ცალკეული მოცულობების უფრო სინქრონულ რღვევას. ამ შემთხვევაში, მასალის სიმტკიცე უფრო სრულად გამოიყენება და ტვირთგამძლეობა იზრდება. ხდება მასალის გრძელვადიანი გამკვრივების ეფექტი.

ლიტ. 17.

### მშრალი სამშენებლო ნარჩენები.

მ.შენგელია, ნ.შავერდაშვილი, ა.ჩიქოვანი. "ენერგია". №4(96). 2020. ობილისი. გვ. 57-65. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

თანამედროვე მშრალი ნარევები - სპეციალიზირებული დანიშნულების მრავალკომპონენტიანი სისტემებია, რაც მიიღწევა ზუსტად განსაზღვრული სხვადასხვა შემკვრელი ნივთიერებების, ფრაქციონირებული შემავსებლის, წვრილდისპერსიული მინერალური კომპონენტის, ქიმიური და პოლიმერული დანამატის გამოყენებით. მშრალი სამშენებლო ნარევ ეს არის ქარხანაში წინასწარ მომზადებული ნარევი: ღუდაბის, მასტიკის, წებოს, საღებავის, უჯრედოვანი ბეტონის და სხვა მასალების - საშენი წვრილმარცვლოვანი კომპოზიტის დასამზადებლად. სამშენებლო ობიექტზე უნდა შევურიოთ წყალთან და იგი მზადაა გამოსაყენებლად.

ილ. 1, ლიტ. 4.